პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 6 მარტი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 5 კ.

# წითელი მეომარი

49 (1044)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ტელეფონი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ერთსულოვნად გავეშუროდ მოკლევადიან ტერშეკრებაზე.

დღეს ადგილებზე იწყება მოკლევადიანი მეორე ტერშეკრება, რომელიც გასტანს ორი დღე. როგორც აღნიშნული გვქონდა ჩვენი გაზეთის წარსულ ნომრებში, მოკლევადიან ტერ-შეკრებაზე უნდა გამოცხადდეს ახალგაზრდობა, დაბადებული 1899, 1900, 1901 და 1902 წლებში.

სულ რამდენიმე დღეა, რაც დასრულდა მოკლევადიანი შეკრება. ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად შეკრება ჩატარდა ერთსულოვნად და ბევრ ადგილას მოლოდინსაც კი გადააჭარბა. ყველა წერტებზე ზემოხსენებულ წლებში დაბადებული ახალგაზრდები—ცვალებად წითელარმიელები გამოცხადდენ უკლებლად, მოისმინეს მრავალი მოხსენებები წითელი არმიის აღმშენებლობისა და ამ უკანასკნელი მოკლევადიანი ტერ-შეკრების ამოცანების შესახებ. გარდა ამისა ცვალებადელებმა ამ პირველი შეკრების დროს თავიანთი მწყობრი რიგებით ენერგიული მონაწილეობა მიიღეს წითელი არმიის 8 წლისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლის თავის დღესასწაულში და ამით დაამტკიცეს საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე ფხიზლად ყოფნა.

როგორც ვთქვით მეორე შეკრება დაიწყება დღეს. უპირველეს ყოვლისა ცვალებადელების მოვალეობა იქნება თავის დროზე და უკლებლად გამოცხადდენ სათანადო ადგილებზე. მეორე მხრით კი საჭირო იქნება გულმოდგინეთ და ბეჯითად შეისწავლონ ყველა ის, რასაც მათ გადასცემენ მათი მასწავლებლები—მეთაურები და პოლიტ-მუშაკნი. გარდა ამისა თითეული ცვალებადელის მოვალეობა იქნება მიიღოს აქტიური მონაწილეობა თავისი ნაწილის საერთო საქმიანობაში, გაიხსენოს წარსულში მიღებული ცოდნა და ამით უზრუნველჰყოს თავისი მზად ყოფნა წითელი არმიის რიგების შესავსებად, თუ ეს საჭირო იქნება მომავალში.

ამასთანავე ერთად თითეულ ცვალებად წითელარმიელს კარგად უნდა ახსოვდეს თავისი მოვალეობის შესრულება ჩვენს გაზეთთან კავშირის განმტკიცებისა და აქ თანამშრომლობისათვის. მან ერთი წუთით არ უნდა დაივიწყოს თავისი გაზეთი, გაავრცელოს ის სოფლად და ამით ხელი შეუწყოს წითელი არმიისა და ფართო მოსახლეობის ურთიერთ კავშირის განმტკიცებას.

მეორე შეკრების დამთავრების შემდეგ კიდევ რჩება ორი შეკრება. ადგილებზე მომუშავე ამხანაგების მოვალეობა იქნება ამ მეორე შეკრების ნაყოფიერად დასრულებით უზრუნველჰყონ დანარჩენი შეკრებებიც.

ცვალებადელო! ერთსულოვნად გაეშურე შეკრებისაკენ და ამით მოიხადე შენი წმინდა მოვალეობა.

## ახალი რადიო ამბები

### პარიზის წვრილ ვაჭართა გაფიცვები.

პარიზის წვრილ ვაჭართა გაფიცვები 3 მარტს მთელი სავაჭროების 90 პროც. ზე. გავრცელდა. მიტინგებზე დიდი წარმატებით გამოდიოდენ კომუნისტი ორატორები. ამ გარემოებამ შეაფიქრა სოციალისტები და ბურჟუაზია.

გაფიცვების მოწინააღმდეგე რეფორმისტები ბრალს სდებენ კომუნისტებს, რომლებიც „გამოვიდენ წვრილ მესაკუთრეთა მხარეზე და უღალატეს მარქსიზმის პრინციპებს".

გაფიცვების მომხრე მემარჯვენე გაზეთები ურჩევენ ვაჭრებს ნუ დაუჯერებენ კომუნისტებს, რომლებიც სცდილობენ კერძო საკუთრების ნაციონალიზაციის მოხდენას. ისინი ურჩევენ დაემორჩილონ სინდიკატების კომიტეტებს, რომლებიც შესდგებიან რეაქციონერებისაგან.

### ბრძოლა ტიან-ცზინის (ჩინეთში) გარშემო.

უ პეი-ფუს ჯარები უტევენ პეკინ-ხანკოუს რკინისგზის მიმართულებით. იმავ დროს ჩან-ძო-ლინი უტევს სამხრეთიდან, და პროვინცია ხონანზე—აღმოსავლეთიდან. რამოდენიმე ალაგას რკინისგზა აღარ მუშაობს.

### რეზოლიუცია-საერთაშორისო გლეხთა ორგ.-ის თანამშრომლობისთვის.

#### მთავრობა უნდა ეყრდნობოდეს მუშებისა და გლეხების კავშირს.

პოლონეთის გლეხთა პარტიის მთავარ—საბჭომ, რომელიც დაარსა ბრილმა და დომბსკიმ, გამოიტანა რეზოლიუცია რომელშიაც ნათქვამია, რომ აუცილებელი საჭიროა საერთაშორისო გლეხთა ორგანიზაციების თანამშრომლობა. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ პოლონეთის გლეხთა პარტია იბრძოლებს დღევანდელ მთავრობის წინააღმდეგ, ვინაიდან სთვლის, რომ მთავრობა უნდა დაეყრდნოს გლეხურ პარტიებს, რომლებიც თანამშრომლობენ მუშურ პარტიებთან.

პარტიაში ორი ფრთაა: მარცხენა—ბრილისა და მარჯვენა—დომბსკის მეთაურობით.

### პოლონელ მენშევიკების მუშაობა

#### „პშენეზენ" სოციალიზმს პოლიციის დახმარებით.

პოლონეთის მენშევიკები გაძლიერებულ კამპანიას აწარმოებენ კომუნიზმის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე რაიონებში. სოფლებში იმართება მიტინგები. მენშევიკების აგიტატორები დადიან სოფლებში „პოლიციელების მფარველობის ქვეშ და მოუწოდებენ უჯრედების მოწყობისაკენ.

### ფეიქართა გაფიცვები შანხაიში

გრძელდება იაპონიის ფაბრიკის მუშათა გაფიცვები შანხაიში. ინგლისის პოლიციამ დააპატიმრა დიდძალი მუშა.

### შემთანხმებლების პოლიტიკა.

#### სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა...

ჩეხიის სოციალ-დემოკრატებმა უარყვეს კომუნისტების წინადადება შეერთებული ფრონტით გამოსვლის წინააღმდეგ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებში.

გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა თანხმობა განაცხადეს შეერთებულ ფრონტზე, მაგრამ დღემდის აჭიანურებენ და აფერხებენ საქმეს დაუსრულებელ მიმოწერით.

## საბჭოთა კავშირში

### ესტონეთის ჯაშუშების საქმე

#### დახვრეტილ იქნა 13 ჯაშუში

19 თებერვალს საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლომ მიუსაჯა ესტონეთის ჯაშუშებს დახვრეტა.

განაჩენის სისრულეში მოყვანა შეაჩერა საკავშირო ცაკმა, ვინაიდან მისჯილებმა შუამდგომლობა აღძრეს პატიების შესახებ. ცაკმა განხილვის შემდეგ უშედეგოდ დასტოვა შუამდგომლობა.

დახვრეტილ იქნა ცამეტი ჯაშუში.

#### ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გამოყოფა

სენაკის მაზრის სატყეო განყოფილებამ შეუდგა გლეხებზე ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გადაცემას.

თეკლათის აგარაკზე გამოყოფილ იქნა 1.200 დესეტინა, სუჯუნის—330, ზანის—500 და ქოლადიდის—600 დესეტინა ტყე.

## ცოტა რამ კედლის გაზეთების გამოშვების შესახებ*)

ჩვენი გაზეთის წარსულ ნომრებში, ამხ. იმნაიშვილმა წამოაყენა კითხვა ლეგიონის კედლის გაზეთის მოსპობა-გაუქმებაზე და მის ნაცვლად ასეულების მაშტაბით, კედლის გაზეთების გაძლიერებაზე.

მთელი რიგი ამხანაგებისა გამოეხმაურენ ამხ. იმნაიშვილის დისკუსიას. ზოგი მართალია ეთანხმება, მაგრამ ძალიან მცირე რიცხვი, მეტი წილი-კი წინააღმდეგია ამხანაგის წამოყენებული საქმის შესრულებაზე.

ლეგკედლის გაზეთი ბიუროკოლექტივის ორგანოს სახელწოდებით გამოდის ლეგიონის მაშტაბით. მისი დაარსებიდან დღემდე ბევრი რამ გაუკეთებია ჩვენი ნაწილების ზოგიერთი დეფექტების გამოსწორებაში, როგორც ამას სამართლიანად განმარტავს ამხ. ჩაგელაშვილი.

განსაკუთრებით ლეგკედლის გაზეთი მნიშვნელოვანი არის იმით, რომ ის გამოდის მთელი ლეგიონის აქტივისტების მონაწილეობით, სხვა და სხვა განყოფილებების გაშუქებით. ამასთან ერთად ლეგკედლის გაზეთი გამოფენილია ლეგიონის შტაბთან, სადაც როგორც ლეგიონის შემადგენლობას, აგრეთვე სტუმრებსაც შეუძლია მისი წაკითხვა, რასაც შეუძლია დასტოვოს სასურველი შთაბეჭდილება მკითხველებზე.

მართალია ტერიტორიალურ ნაწილებში, რომელიც დანაწილებულია წერტებად, იმდენ მნიშვნელობას არ იძლევა ლეგკედლის გაზეთი—შესაძლებელია ტერლეგიონებში არ გამოიცეს ლეგიონის კედლის გაზეთი, რომელიც ჩემის აზრით მეტ სარგებლობას მოიტანს.

რაც შეეხება კადრ ლეგკედლის გაზეთების მოსპობას ეს ჩემის აზრით არ არის კანონიერი. ლეგკედლის გაზეთში მონაწილეობას იღებენ ლეგშტაბის თანამშრომლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს თანამშრომლები, კლუბი, სასროლო კაბინეტები ბიუროკოლექტივი, და ყველა დაინტერესებული პირები, რომლებიც მეტად საინტერესო და სასარგებლო შინაარსიან წერილებს აწვდიან ლეგკედლის გაზეთს. თუ ამხ. იმნაიშვილის თქმით ლეგკედლის გაზეთი მოისპოს და მის არსებობა სწარმოებდეს ასეულების მაშტაბით, მაშინ ზემოჩამოთვლილი თანამშრომლები ვერ გააშუქებენ თავიანთ აზრს ისე, რომ ეს მთელი ლეგიონის შემადგენლობისათვის იყოს სასარგებლო და წაკითხული. რადგანაც მაშინ დაინტერესებულ მკითხველს მოუხდება მთელი ასეულების შემოვლა, რომ წაიკითხოს ზემოხსენებული თანამშრომლების წერილები.

რაც შეეხება ამხ. ჩაგელაშვილის აზრს ასეულის კედლის გაზეთების მოსპობას და მისი ათასეულის მაშტაბით გამოშვებას, ამაში ამხ. ჩაგელაშვილი სცდება.

ათასეული დანაწილებულია ასეულებად,—ასეულებს აქვთ თავიანთი საცხოვრებელი ბინები, რომლებიც საკმაო მანძილით არიან დაშორებული ერთიმეორეზედან. თუ ასეულის კედლის გაზეთის არსებობა გადავიდა ათასეულის ფარგლებში ეს მეტ ზიანს მოგვიტანს.

მე ვეთანხმები ამხ. დეისაძეს იმაში, რომ სწარმოებდეს ლეგკედლის გაზეთის გამოშვებაზე წინასწარი სამზადისი. ამხ. დეისაძე მართალია იმაში, რომ ის ამბობს, რომ „დღემდის ლეგკედლის გაზეთის გამოშვებაზე წინასწარ მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა"-ო. და აი წორედ ასეთმა უყურადღებობამ გამოიწვია ამხ. იმნაიშვილის გამოსვლა ლეგკედლის გაზეთის გაუქმებაზე. უდაო ფაქტია, რომ ლეგკედლის გაზეთი უნდა არსებობდეს მაგრამ, როგორც ეტყობა ამხ. იმნაიშვილს, როგორც რედკოლეგიის და კორესპონდენტთა ხელმძღვანელს (ლეგიონის მასშტაბით) ეზარებოდა წინაწარ სამზადისზე მუშაობა ლეგკედლის გაზეთების გამოშვებისათვის და რომ ამხ. ს. იმნაიშვილს ეწარმოებია ამ საქმის კანონიერი შესრულება, მაშინ ეს საკითხი არ წამოიჭრებოდა მის მიერ. ყოველივე ეს ძალაუნებურად გაფიქრებიებს, რომ ეს შედეგია ვითომც ზედმეტი მუშაობის თავიდან აცილებისა.—

მე ვამბობ, რომ ლეგკედლის გაზეთის, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის ნაწილის ცხოვრებაში და სხვა და სხვა მრავალი დეფექტების გამოსწორებაში, არსებობა სასურველია. არავითარ შემთხვევაში ლეგკედლის გაზეთი არ შეუშლის ხელს ასეულების კედლის გაზეთების აქტივთა მიზიდვას, თუ ამაზე წინასწარი მუშაობა იწარმოებს. ამასთან პარალელურად აუცილებელი იქნება ასეულის კედლის გაზეთების არსებობაც, რომელიც ნათლად აშუქებს ასეულის შინაურ ცხოვრებას.

სამხკორი მ. ოდიშარია.

*) დისკუსიის წესით.

# მე-2 დივიზიის სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების კონფერენცია

დივსაბჭოს მუშაობის ანგარიში.

მე-2 დივიზიის სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების მუშაობა იწყება 1924 წლის ნოემბრის თვიდან. ამ ხანებში დივშტაბიდან სინიციატივო ჯგუფმა დაიწყო მიზნით დივიზიაში სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების, როგორც ქუთაისის გარნიზონის, აგრეთვე დივიზიის მაშტაბით.

ამ მოკლე დროის განმავლობაში ჩვენ შევძელით ქვეითის სამხედრო სამეცნიერო წრეების დაარსება და სამოქალაქო ორგანიზაციათა შორის რამოდენიმე სამხედრო თემაზე მოხსენებების ჩატარება.

დივშტაბის თვლით გადმოსვლის შემდეგ, სინიციატივო ჯგუფმა ერთ დღეს მოიწვია საერთო კრება ყველა ჩვენი ნაწილებისა და შტაბების წარმომადგენლებისა. საერთო კრებამ გაიხილა მიზანი სინიციატივო ჯგუფისა და აირჩია დივიზიის საბჭო 16 კაცისაგან, გამოყო 5 კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა, ჩვენმა დივსაბჭომ ნაწილების სამხედრო სამეცნიერო წრეების და ხმარებით შესძლო დივიზიაში სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების ჩამოყალიბება და მისი მუშაობის ფეხზე დაყენება.

ამ რიგათ საორგანიზაციო მუშაობა დამთავრდა და ჩვენ შეუდგებით მუშაობის გაღრმავებას ჩვენს ნაწილებში და მეტი ყურადღების მიქცევას სამოქალაქო ორგანიზაციებისადმი.

როგორი სტრუქტურა აქვს ჩვენს საზოგადოებას.

ამ ჟამად ყველა ნაწილებში არსებობს სამხედრო სამეცნიერო წრეები შტაბებთან და მათი უჯრედები კი ათასეულის პუნქტებზე. ნაწილებში აკრით-

ეს არის სამხედრო ცოდნის წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ სამხედრო სამეცნიერო წრეები და მეტი მუშაობის მაშტაბში—დივიზიის საბჭო.

დივიზიის სამხედრო სამეცნიერო საზოგადოება ირიცხება 317 კაცს.

აქედან მეთაურთა 60 პრ. პოლიტმუშაკი. 35 პროც. მედვეტ-ად-მასწავლ. შემად. 5 პროც. სოციალური მდგომარეობით მუშები—20 პროც. გლეხობა—60 პროც. მოსამსახურენი—15 პროც. დანარჩენი—5 პროც.

პარტ. ულობა.
პარტიის წევრნი—20 პროც. კომკავშირის წევრ.—30 პროც. უპარტიო—50 პროც.

მუშაობის მეთოდი საერთოდ არის ჯგუფური და ინდივიდუალური დამუშავება საკითხებისა. კვირაში დივსაბჭოს ერთ სხდომას იმართება, ყოველ წრეს მუშაობა დამოუკიდებლად—როგორც წ...რილობით, აგრეთვე ცოცხალი.

დივსაბჭოს მატერიალურ საშუალებას წარმოადგენს მხოლოდ საწ. გადასახადის 20 პრ., რომელიც იხარჯება წრეებისათვის წიგნების და საკანცელარიო ნივთების შესაძენად და სამხედრო კუთხეების დასაარსებლად.

ერთეულების სამხედრო სამეცნიერო წრეებმა სამოქალაქო ორგანიზაციებში დაარსეს სამხედრო კუთხეები, სადაც ეწევიან მშვიდობიან მოქალაქეთა გასამხედროებას.

დივსაბჭომ დღემდე გამოსცა და გადათარგმნა შემდეგი ლიტერატურა:

1. „სამხედრო ქიმია“. 2. „შინაურ ცხოველების მოვლა“. 3. „ახალი დივიზიები“ და 4. „სამხედრო სამსახურის კანონები“. აქვს მიზნად გადათარგმნოს ყველა წესდებები და წითელ არმიელის და მეთაურის „ბიბლიოთეკა“.

ნ. გამრეკლიძე.

# ზოგიერთი შენიშვნები წითელ არმიელის საჭმლის მომზადებაში.

როგორც ჩვენ გაზით „წითელ არმიელი“-ს №№ 3/998 და 4/999-ს გვერდებზე იყო აღნიშნული, კომისიამ, რომელიც იყო დანიშნული იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენათ წარმატებით მიმდინარეობს თბილისში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებში საჭმლის მომზადება, ბევრი ნაკლულევანებანი აღმოაჩინა საჭმლის ხარშვაში. რით აიხსნება ყველა ეს და როგორ უნდა ავიშოროთ თავიდან დეფექტები?

კომისიამ თავის მიზნათ დაისახა, ანგარიში გაეწია სამზარეულოს ყოველი წვრილმანისათვის, რამდენათაც მას ნებას აძლევდა ის განსაზღვრული დრო, რომელსაც კომისია ანდომებდა თვითეულ ნაწილის სამზარეულოს შესწავლას. ამიტომ კომისია იღებდა მხედველობაში მარტო იმას კი არა, რამდენათ გემრიელი სადილ-ვახშამი მზადდება ნაწილში, არამედ იმასაც თუ რა პირობებში მზადდება ის და როგორ ურიგდებათ წითელ-არმიელებს.

წითელ ჯარში არსებულ სურსათ სანოვაგის ნორმა საერთოთ აკმაყოფილებს მოლაშქრის ნორმალურ გამოკვებას, მაგრამ ამა თუ იმ დაწესებულ ნორმების მარტო ცხოვრებაში გატარება სავსებით არა სჭრის საკითხს წითელ არმიელის ყოველ დღიურ კვებისას. საჭიროა კიდევ გონივრულად განაწილება ამა თუ იმ ულუფისა სადილისთვის და ვახშმისთვის.

ბევრს ნაწილებში ვერაა კარგათ შედგენილი სადილ-ვახშმის განწესრიგება და არაა სავსებით დაცული საჭმლის სხვა და სხვაობა. რაც უნდა კარგი საჭმელი იყოს, სულ მუდამ დღე რომ ერთი და იგივე სჭამო, რასაკვირველია მოგწყინდებათ; ამას კი ჩვენს ნაწილებში ბევრს ალაგას არ აქცევენ ყურადღებას და არ უწევენ ანგარიშს. გარდა ამისა მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთი ნაწილები ყოველ დღე ხარჯავენ თვითეულ წითელ არმიელზე 2-6 კაპ. ზედმეტს, საჭმელი მზადდება მაინც დამაკმაყოფილებელი.

სურსათ-სანოვაგე უნდა იდებოდეს ქვაბში აუცილებლივ სამზარეულოს მორიგის თანადასწრებით, რომელიც უნდა იყოს კარგათ გაცნობილი, თუ რამდენი რა პროდუქტი უნდა მიეცეს მას კანონის მიხედვით.

უნდა მიექცეს ყურადღება სურსათ-სანოვაგის სიავკარგეს. ამიტომ, როგორც მზარეულმა, აგრეთვე ყოველმა სამნეო და რგში მომუშავე პირმა უნდა შესძლოს ყოველთვის გაარჩიოს ავ-კარგი სანოვაგე.

მზარეული უნდა იყოს კარგათ დახელოვნებული თავის საქმეში. რაც უნდა კარგი სანოვაგე და ბლომად ჩასდოთ ქვაბში, თუ ის არაა კარგათ გამოხარშული და მომზადებული, არ იქნება ის გემრიელი და დამაკმაყოფილებელი წითელ არმიელისთვის.

უნდა სუფთათ ირეცხებოდეს როგორც ქვაბი აგრეთვე ყველა ჭურჭელი, რადგან უსუფთაო ქვაბი და საერთოთ ჭურჭელი სულ მუდამ გემოს აძლევს საჭმელს.

თითქმის ყველა ნაწილებში კომისიის მიერ იყო შემჩნეული ის გარემოება, რომ ჯერ ადუღებენ წყალს და შემდეგ სდებენ ადუღებულ წყალში ხორცს, მაშინ როდესაც ეს არაა მიზანშეწონილი, თუ რომ გვინდა მივიღოთ გემრიელი წვენი, უნდა ხორცი ჩავდვათ ცივ წყალში და შემდეგ ნელ-ნელა ავადუღოთ. ხორცი არას დროს არ უნდა დავტოვოთ დიდ ხანს წყალში გარეცხვის დროს, რადგანაც მისი განოყიერებული ნაწილები გადის წყალში.

(შემდეგი იქნება)

ნ. შანშიაშვილი.

# სამხედრო საქმე

## ქვეითი ნაწილის მოძრაობის წესი იერიშამდი.

ყოველი ბრძოლა თავდება იერიშით (ხიშტზე გადასვლით) თუ რომ მტერი მანამდი არ დანებდება. იერიშზე გადასვლისთვის საჭიროა ჯერ მიახლოვება.

როცა მოძრავ რიგებს ყუმბარებს უშენს მხოლოდ არტილერია, ხოლო დანარჩენი იარაღები არ მუშაობენ (შორი მანძილის გამო), ამ პერიოდს ეწოდება მიახლოვება.

როცა სროლაში მონაწილეობას ღებულობენ ყველა გვარის იარაღები, ამ პერიოდს ეწოდება შეტევა, რომელიც თავდება იერიშით.

გავიხილოთ, როგორ მოძრაობს ასეული როცა ის შედის არტილერიის ცეცხლის ზოლში. როცა ლეგიონს კალონებათ უკვე აღარ შეუძლია მოძრაობა, ამ დროს ის ნაწილდება ათასეულებად. ათასეულები თავის მხრივ—ასეულებად, ასეულები—ოცეულებად. მტერთან მიახლოების შემდეგ ოცეულებად მოძრაობაც კი არ შეიძლება, ვინაიდან მტრის არტილერია შეეცდება მოსპოს ეს ოცეულები. ამის მიღწევა მას ადვილად შეუძლია, ვინაიდან ყოველთვის არ შეიძლება დაფარულ იქნას მთელი ოცეული მტრის თვალისაგან. ასეთ შემთხვევებში ოცეულის უფროსი აანაწილებს თვით ოცეულს ათეულებად. ტყვიამფრქვევის ათეულები მსროლელ ათეულებზე წინ მიდიან. ათეულების წყობილება უნდა იყოს ისეთი, რომ ნაკლებ შესამჩნევი იქნან ისინი მტრისათვის.

აქ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არტილერიის ჭურვების ორი სახე. პირველია შრაპნელი. ეს ჭურვი გატენილია მრგვალი ტყვიებით და როცა ჰაერში გასკდება, ტყვიები სცვივა ყოველ მხრივ და მუსრავს ცოცხალ მიზნებს (ადამიანებს, ცხენებს). მასთან ფრონტით შრაპნელის ტყვიების განბნევა იმდენად ძლიერი არაა, როგორც სიღრმეში. ამიტომ შრაპნელის სროლის დროს უნდა იყოს წყობილება ფრონტით გაშლილი. მეორე სახეა გრანატა. ეს ჭურვი სკდება მიწაზე დაცემის დროს და ნამტვრევებით მუსრავს ყველაფერს, რაც კი შეხვდება. ეს ჭურვები იხმარება შენობისა და სიმაგრეების დასანგრევად. გრანატის ცეცხლის დროს წყობილება უკეთესია გაშლილ იქნას სიღრმისკენ, ვინაიდან ნამტვრევები მეტნაწილად მიდიან გვერდზე. ამასთან თვითეული მსროლელი უნდა სცდილობდეს ჩქარა გადარბენას და შენიღბვას. ასეთი მოძრაობა გრძელდება ტყვიამფრქვევის ამოქმედებამდის. აქედან იწყება შეტევის მეორე ნაწილი—თვით შეტევა.

ი. ბ.

ცვალებადელნო! ორდღიან მოკლევადიანი მწვრთნელთა შეკრება უკვე დაიწყო. მოიწერე როგორ ჩატარდა თქვენთან ეს შეკრება და როგორ მონაწილეობას ღებულობს თითეული თქვენთაგანი საერთო მუშაობაში.

# ადგილის გაგება.

## რა არის ყიბლანი და რამოსახმარია ის.

რომ დაასახელო ესა თუ ის წერტი ადგილზე, უნდა იცოდე ქვეყნის მხარეები: აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი. მხოლოდ ქვეყნების მხარეების მიხედვით შეიძლება გაიგო, რომ მაგ. ესა და ეს სოფელი იმყოფება ამა და ამ ქალაქის დასავლეთით. და ეს იქნება სრულიად გასაგები ყველასათვის. როგორ შეიძლება ქვეყნის მხარეების გაგება? არის მრავალგვარი საშუალება: მზე, ვარსკვლავები, სხვა და სხვა ადგილობრივი საგნები. მაგრამ უფრო საიმედო და მოხერხებული—ეს არის ყიბლანი.

ყიბლანს აქვს რგვალი კოლოფის სახე, რომელშიაც მოწყობილია მაგნიტის ისარი. მაგნიტის ისარი ერთი ბოლოთი მიმართულია ჩრდილოეთით, მეორეთი—სამხრეთით. ჩრდილოეთისკენ მიმართული ბოლო შავი ფერისაა (ეს ბოლო ღამით ანათებს), კოლოფის ძირზე დაწერილია ასოები С (ჩრდილოეთი), Ю (სამხრეთი), З (დასავლეთი) და В (აღმოსავლეთი). კოლოფი დახურულია ზევიდან შუშით.

ყიბლანის შეოხებით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ადგილი თუ სად ვიმყოფებით, ე. ი. გავიგოთ—სად იმყოფება აღმოსავლეთი, სამხრეთი და სხვა. როგორც ვიცით ისარი ერთი ბოლოთი (შავი) გვიჩვენებს ჩრდილოეთს. თუ რომ მოვბრუნდებით პირით ჩრდილოეთისკენ, მარჯვნით გვექნება აღმოსავლეთი, მარცხნით—დასავლეთი, უკან—სამხრეთი.

ყიბლანი განსაკუთრებით საჭიროა ღამით, ბურუსში, ტყეში, ზღვაზე, ღრუბლიან დღეს და საერთოდ მაშინ, როცა არ გვექნება საშუალება სხვანაირად გავიგოთ ქვეყნის მხარეები.

როგორ შეიძლება მოძრაობა ყიბლანის მიხედვით? ვსთქვათ ჩვენ წავიდეთ დასავლეთით იმ წერტილიდან, სადაც ჩვენ ვიმყოფებით. ადგილი უცნობია, ამინდი—ბურუსიანი.

ყიბლანი უნდა მოვაწყოთ ისე, რომ ისრის შავი ბოლო ხვდებოდეს ანბან С-ს. შემდეგ უნდა ვნახოთ სად იმყოფება ანბანი З და ამ მიმართულებით დავნიშნავთ რომელიმე შორეულ ადგილობრივ საგანს. შემდეგ მივდივართ ამ საგნისაკენ, როცა ამ საგანთან მივალთ, ისევ ვაყენებთ ყიბლანს, დავნიშნავთ მეორე შორეულ საგანს დასავლეთით და განვაგრძობთ მოძრაობას. ამ დროს შეიძლება წინსვლა დასავლეთით, მაგრამ თვალი უნდა ვადევნოთ იმას, რომ ისრის ჩრდილოეთი ბოლო არ მოშორდეს ანბან С-ს.

# 1-ლი ქართული დივიზიის მეხუთე პარტკონფერენცია პარტაღმშენებლობის მომავალ ამოცანების შესახებ.

დასასრული.

მუშაობა კანდიდატთა შორის.

როგორც ვიცით 1903 წ. დაბ. უკანასკნელმა გაწვევამ მოგვცა ჩვენ დიდი რიცხვი ახ. ლ. კ. კ. წევრებისა, რომელნიც წითელი ჯარის პარტორგანიზაციების მიერ თანდათანობით უნდა იქნენ გადარიცხული პარტიის კანდიდატებად. ამით უკანასკნელთა რიცხვი თანდათანობით გაიზრდება, რის გამო ამ მასის დამუშავება და მზადება პარტიის წევრად გადასარიცხავად—წარმოადგენს უაღრეს სერიოზულ ამოცანას ჩვენი დივიზიის პარტორგანიზაციისას. პარტიის კანდიდატების აქტიურ მუშაობაში მიზიდვა, პარტიის მომზადებულ წევრების მათთან ინდივიდუალური მიმაგრება, კანდიდატების მომზადება პარტსკოლებში—ელემენტარი კანდიდატების პოლიტიკურად აღზრდისა, რომლის საშუალებით ჩვენ შევავსებთ პარტიის რიგებს ახალი ძალებით, საკმაოდ მომზადებული საზოგადო მუშაობისათვის.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს კანდიდატების დროულად გადარიცხვას პარტიის წევრად, ვინაიდან 1902 წ. დაბ. გრძელვადიან შვებულებაში გაშვების დროს ბევრი მათგან წავიდნენ ნაწილებიდან პარტიაში გადაურიცხავი.

ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ.

ერთ ერთ მუხლად პარტკონფერენციის რეზოლიუციებში აღნიშნულია ეს საკითხი. ამ მუხლის თანახმად ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის დროს ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა დარგები პოლიტიკური მუშაობისა. უმთავრესად კი ყურადღება უნდა მიექცეს მომავალში რომ ა) ქართული ენის სუსტად მცოდნე იქნენ შესწავლილი ინდივიდუალურად, ბ) ყველა თვითმოქმედ ორგანიზაციებში და სკოლის გარეშე მუშაობაში მიზიდულ იქნეს ეროვნულ უმცირესობათა საგრძნობი კადრი, გ) კედლის გაზეთში შუქდებოდეს ეროვნულ უმცირესობათა ყოფა-ცხოვრების საკითხები და დ) მიღებულ იქნეს ღონისძიებანი რათა კომკავშირში და პარტიაში მიზიდულ იქნეს საგრძნობი ნაწილი ეროვნულ უმცირესობისა.

სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირის შესახებ.

ადგილების გამოცდილებიდან კონფერენციამ გამონახა მთელი რიგი ახალი ფორმებისა, რომლის საშუალებით ჩვენ უნდა გამოვაცოცხლოთ და გავაძლიეროთ კავშირი ადგილობრივ ორგანიზაციებთან. ამ კავშირის ერთ-ერთ ფორმაზე საჭიროა შევჩერდეთ ცოტათი დაწვრილებით. ეს არის საკითხი სამოქალაქო, უმთავრესად საწარმოო, ორგანიზაციების გასამხედროებისა, მათთან ურთიერთ კავშირის გაბმით.

შემდეგში ამ კავშირმა უნდა მიიღოს სამხედრო გადახრა, ეს კავშირი უნდა გახდეს ერთ-ერთ საშვალებათ, რომლითაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს მოსახლეთა გასამხედროებას.

კონფერენციამ ეს აღნიშნა და ძირითად პარტორგანიზაციებისგან არის დამოკიდებული, თუ რამდენად ეს შემდეგში იქნება გატარებული ცხოვრებაში.

პარტია და ახ. ლ. კ. კავშირი.

„მეტი ყურადღება ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს“ სთქვა ამხ. ბუხარინმა, კომკავშირის შესახებ პარტიის მე-XIV ყრილობაზე. ერთ-ერთი რაზმი ახ. კომუნ. კავშირისა არის ჩვენს დივიზიაშიც, რაც მოითხოვს პარტორგანიზაციისგან დიდ ყურადღებას და კომკავშირის მუშაობაზე პარტიის ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

ის 12 პროც. პარტბირთვისა კომკავშირში, რომელიც გვაქვს ჩვენ დღეს, არასოდეს არ ჩაითვლება საკმარისად პარტიის ხელმძღვანელობის საქმეში, რის გამო პარტკონფერენციამ სცნო ერთ-ერთ დიდ მნიშვნელოვან ამოცანად ამ პარტბირთვის გაზრდა ახ. კომკავშირიდან პარტიის წევრად გადარიცხვის გზით, რაც მეორეს მხრივ ხელს შეუწყობს ახ. კომკავშირის წევრთა გააქტივებას.

აი მოკლედ ის ამოცანები, რომელიც დაისვა პირველ ქართულ დივიზიის პარტორგანიზაციის წინაშე მისი მეხუთე პარტკონფერენციის მიერ.

ი. რუდოვსკი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## სამაგალითო შეფები.

**მე-4 ხე ლეგიონის მე-5-თე ასეული.**

სამთომადნო მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა დიდ დახმარებას გვიწევს ყოველ მხრივ. 22 თებერვალს მე-5-თე ასეულის სასარგებლოთ გადმოგვცეს 50 მანეთი და სხვა და სხვა წიგნები სამკითხველოსთვის და რვეულები და ფანქრები წითელ არმიელებისათვის. პირველ მარტიდან გვიწერენ სხვა და სხვა გაზეთებს, „წითელ არმიელს“ „კომუნისტს“ და „მუშას“ გვპირდებიან მომავალში კიდევ მეტ დახმარებას. მეორე შეფად გვყავს ქიათურის მუშათა კლუბი, ესეც დიდ დახმარებას გვიწევს. კლუბში მოცემული გვაქვს 5-თი სკამი წითელ არმიელებისათვის, სადაც ესწრებიან წარმოდგენებზე ჩვენი წითელ არმიელები და დიდი კმაყოფილი რჩებიან.

მე-5-თე ასეულის უფ-პოლიტ შემადგენლობა და წითელ არმიელები დიდ მადლობას უძღვნით ჩვენ შეფებს ასეთი დახმარებისათვის და უსურვებთ მომავალისათვის გაუმართლებიოთ მათი დაპირებები.

ალ. ხ ტირია.

## ჯილდოები შეჯიბრში გამარჯვებულებს.

**მე-3-მე ლეგიონი.**

გასული წლის 25 ოქტომბერს ლეგიონის ნაწილებს შორის მოხდა სპორტიულ მოვარჯიშეთა შეჯიბრება. შეჯიბრებაში პირველობა მიიღო მესამე ათასეულმა. საუკეთესო მოვარჯიშე წითელ არმიელებს უნდა დარიგებოდა საჩუქრები, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო იმ ხანებში ეს ვერ მოხერხდა 27 თებერვლამდე. ამდღეს მთელი ლეგიონის შემადგენლობა მიწვეული იქნა ლეგკლუბში და 25 ოქტომბრის შეჯიბრებაზე პირველობის გამომჩენ წითელ არმიელებს დაურიგდათ საჩუქრები. მესამე ათასეულმა კი პირველობისათვის მიიღო დროშა.

საჩუქრების დარიგების შემდეგ სამხედრო კომისარმა გამოუცხადა, რომ ამხ. ფრუნზეს სახელობის წითელ არმიის ცენტრალურ სახლის აშენებისათვის, წითელ არმიელებს გაეღოთ სურვილისამებრ თავიანთი წვლილი. განცხადებას წითელ არმიელები ტაშით შეხვდენ და ერთხმად დაადგინეს მათაც მიიღონ მონაწილეობა ხსენებულ სახლის აგებაში სათანადო წვლილის გაღებით.

სამხკორი ნ. კ ლანდაძე.

## წრეები ამოქმედდენ.

**1-ლი არტლეგიონის სკოლა.**

ჩვენი სკოლა თანდათან ცოცხლდება. კურსანტები დიდათ არიან დაინტერესებული ცოდნის მიღებით, როგორც სამწყობრო ისე პოლიტიკურში. გამოცოცხლება ეტყობა ყველა წრეებს. არც ერთი კურსანტი არ არის სკოლაში, რომ რომელიმე წრის წევრად არ ითვლებოდეს. კურსანტთა შემადგენლობის უმრავლესობა ახკომკავშირის წევრებია. მრავლად არიან კომპარტიის წევრებიც. აქამდე სკოლაში არ არსებობდა კომუჯრედი, რადგან ხელს უშლიდა წევრების უყოლობა.

ამ ჟამად დაარსებულია, როგორც კომუჯრედი, ისე ახკომკავშირელთა ჯგუფი. დისციპლინა მტკიცედ არის დაცული, არ ყოფილა მისი დარღვევის შემთხვევა. პირიქით, პარტიული ამხანაგები მაგალითის მაჩვენებელი არიან ამ მხრივ უპარტიო წითელ არმიელებისათვის.

სამხკორი ბურკაძე.

## ჩვენი კლუბის მუშაობა.

**(მეთაურთა სკოლა).**

ჩვენს კლუბში თითქმის ყოველ კვირეულად იმართება კრებები—ამა თუ იმ საკითხზე სპეციალური მოხსენებებით. ყოველ კვირაში იმართება აგრეთვე ქართული და სხვა კინო-სურათები და საღამო-წარმოდგენები.

ამ ბოლო დროს კურსანტთა თვითმოქმედება საკმაოდ გაიზარდა. კლუბიც უკვე შესაფერისად არის მოწყობილი. ჩვენი საკლუბო მუშაობა სხვა მონათესავე ორგანიზაციაშიც გადავიდა—ის თავის დადგმებით მონაწილეობას იღებს: მეექვსეთა კლუბში, სანაპირო, „ზაკფეხის“ სკოლაში და ტფილისის ქვეითა, 21 სკოლაში. უკანასკნელში, მეთაურთა სკოლის კლუბმა ა. წ. 24 თებერვალს გამართა—საქართველოს გასაბჭოების აღსანიშნავად საღამო და მოხსენება მოეწყო, რასაც მოყვა დივერტისმენტი, საკონცერტო განყოფილება და ცეკვა-თამაში.

25 თებერვალს კლუბში სულ სხვა, განახლებული პროგრამით გაიმართა—გასაბჭოების აღსანიშნავი საღამო.

მიმდინარე წლის ორი თვის განმავლობაში ჩვენს კლუბში დაიდგა სულ 10 რევოლიუციონური ხასიათის პიესა.

საკონცერტო განყოფილება-2 და სალიტერატ. განყ. 2. აღნიშნულ საკლუბო მასიურ მუშაობაში სამხედრო-მეცნიერების უჯრედებს და სამხკორთა წრეს არავითარი წვლილი არ შეუტანიათ.

ორი თვის საკლუბო მუშაობაში (გარდა ლენ-კუთხეების) უფ-პოლიტ შემადგენლობა ნაკლებად იყო ჩაბმული. მომავალში კურსანტთა თვით მოქმედებასთან, წრეების საკლუბო მუშაობაში უფ-პოლიტ-შემადგენლობაც უნდა ჩანდეს.

სკოლაში საკმაოდ მოზრდილი ბიბ-სამკითხველო არსებობს, მაგრამ იგი მეტად ღარიბია ქართული, საკლუბო მუშაობის მასალებით.

ყველა ზემო ჩამოთვლილ ნაკლულევანებათა შევსების შემდეგ—საკლუბო მუშაობა შეიძლება ერთი ათად გაიზარდოს.

სკოლის თანამშრომელნიც საკმაოდ გამოსადეგ ძალას წარმოადგენენ საკლუბო, მასიურ მუშაობისათვის, ამიტომ კლუბის გამგეობამ უნდა გამოიმუშაოს ისეთი საშვალება, რომლითაც საკლუბო მუშაობა მარა მარტო კურსანტები, არამედ—სკოლის მთელი შემადგენლობა იქნება ჩაბმული.

მუშაობა მაშინ-გაცილებით უფრო დამაკმაყოფილებელი იქნება.

სამხკორი ჩვენი.

# ჩვენს ტერ-ნაწილებში.

## პირნათლად შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა.

**6-ხე ლეგ. 4-ხე წერტი.**

როგორც ყველა წერტები, ჩვენც შეუდექით მეცადინეობას და ყველა დავალებების სისრულეში მოყვანას. პირველ ყოვლისა, წვევამდელების შეკრებისთანავე შესდგა პარტიულ და ახკომკავშირელ ამხანაგების გაერთიანებული კრება. გაკეთებული იქნა მოხსენება ქართულ და რუსულ ენებზე, თუ რა ევალებათ წვევამდელებს. ყველანი მხურვალე ტაშით შეხვდნენ მომხსენებელს და იქვე დასდვეს ფიცი, რომ პირნათლად შეასრულებენ ყველა დავალებებს. არჩეული იქნა ბიურო-კოლექტივი, რომელმაც გამოყო რედკოლეგია. უკანასკნელმა სამი დღის განმავლობაში შესძლო კედლის გაზეთის გამოცემა და მით დაამტკიცა თავისი საქმისადმი სიმტკიცე და ერთგულობა. გამოყოფილი იქნა აგრეთვე საცენზო ბიურო და ლენინის კუთხის მომწყობი კომისია. არჩეული იქნა აგრეთვე დრამატიული დასი, რომელმაც ფაცხლად ჩაატარა რამოდენიმე წარმოდგენა.

მეცადინეობის დასრულების მიწურულში შესდგა წვევამდელთა გაერთიანებული კრება. გაეცნოთ ყაზარმული ცხოვრების თავისებურება და დისციპლინა.

ყველა საქმიანობაში ეტყობათ ამხანაგებს, რომ ისინი ღირსეული წითელი არმიელები იქნებიან მომავალში.

სამხკორი ვ. გონდაური.



6-ე ლეგ. ქ. ტფილისის 4-ე წერტის წვევამდელები.

## წარმატებით ჩატარდა.

ჩვენს წერტზე აყვანილი იქნა აღრიცხვაზე 183 კაცამდე, რომლებიც უკლებლად გამოცხადდენ პირველი შეკრებისათვის დანიშნულ დროს. პირველმა შეკრებამ საკმაოდ გაამართლა ჩვენი იმედები. წარმოდგენილიც არ გვქონდა თუ ასე სასწრაფოდ შეიძლებოდა ამდენი ხალხის ერთად თავის მოყრა. შეკრებამ აშკარად დაგვარწმუნა, რომ იმ წესით, რომლითაც ვსარგებლობდით მის დროს ადვილად შეიძლება სასწრაფოდ ეყოს მობილიზაცია ახალგაზრდობას ყოველი საჭიროების დროს.

თავის შეყრისთანავე მოეწყო ცვალებადელთა კრება, რომელზედაც მივიღეთ ახსნა განმარტება მოკლე ვადიანი შეკრების მნიშვნელობაზე და რა განსხვავება არსებობს კადრის და ცვალებად წითელ არმიელთა შორის. ჩატარებული იქნა საუბარი აგრეთვე წითელი არმიის დღესასწაულისა და საბჭოთა საქართველოს ხუთი წლის თავის შესახებ.

ის ინტერესი, რომელიც გამოიჩინეს ამხანაგებმა პირველი შეკრების დროს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გაცილებით მეტი წარმატებით ჩატარდება შემდეგი შეკრებები.

გ. გველესიანი.

## მოკლე დროში ბევრი რამ გაკეთდა.

**ცალკე ცხენოსანი ესკადრონის წვევამდელები.**

ესკადრონში წვევამდელებთან მეცადინეობა დაიწყო 19 თებერვლიდან. პირველ დღესვე უკლებლად შეიყარეს თავი ამხანაგებმა და გულმოდგინეთ შეუდგენ მუშაობას, როგორც



ცალკე ცხენ. ესკადრონის წვევამდელები მეცადინეობაზე.

სამხედრო სწავლის შესწავლას ისე სხვა დარგებში. პირველ დღესვე ჩამოყალიბებული იქნა ახკომკავშირის უჯრედი. აირჩა კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია, რომელმაც წით. არმიის 8 წლის თავისა და საბჭოთა საქართველოს ხუთი წლის თავის აღსანიშნავად უკვე გამოუშვა საკმაოდ შინაარსიანი გაზეთი. კულტურულ საქმიანობაში წვევამდელები სიხარულით ღებულობენ მონაწილეობას. დადგეს რამოდენიმეჯერ წარმოდგენები. დიდი წარმატებით ტარდებოდა აგრეთვე პოლიტსაათი, რომელიც მეტის-მეტად აინტერესებდათ ამხანაგებს და ყოველთვის სისტემატიურად ესწრებოდენ.

ორი კვირის განმავლობაში წინასწარ სამხედრო მომზადებამ იმდენათ ბევრი შესძინათ ამხანაგებს, რომ ჩვენი ჯარის ნაწილებს ისინი სრულიად გამოცდილი და დახელოვნებული მოევლინებიან გამოწვევის დროს.

წვევამდელი მუკაშიანცი.

## ჩვენც შევიკრიბეთ ერთსულოვნად.

25 თებერვალს ს. ხარაგოულში შეიკრიბა მე-6-ე ასეულის ცვალებადი შემადგენლობა; ამ დღეს, როგორც საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავისა და წითელ არმიის რვა წლის თავის აღსანიშნავათ, ჩატარებულ იქმნა ასეულის საერთო კრება. კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენებები საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავზე, წითელი არმიის რვა წლის თავზე და მოკლე ვადიან შეკრების მნიშვნელობაზე, რაზედაც იქნა გამოტანილი სათანადო რეზოლიუციები.

შემდეგ არჩეული იქნა თემრწმუნებულები და მიეცათ ნაკაზი თუ რა უნდა აკეთონ სოფლებში.

კრების შემდეგ ასეული მწყობრათ წავიდა საერთო მიტინგზე. აქ მოხსენებით გამოდიოდნენ სხვა და სხვა ამხანაგები.

მე-6-სე ასეულის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. გარსევანიშვილმა, რომელმაც გააცნო კრებას წითელი არმიის მიღწევები და ტერ-სისტემის მნიშვნელობა. მიტინგის დამთავრების შემდეგ ყველა ცვალებადელები წავიდნენ სახლებში.

ნ. ლიახვისპირელი.

## მოვიდნენ წითელი დროშებით.

**6-ხე ლეგ. მახხაანის წერტი.**

ჩვენი ასეული შეივსო ექვსი სოფლიდან მოსული ცვალებადელებით. მიუხედავად იმისა, რომ მახხაანის რაიონის გლეხობის უმრავლესობა მინდვრად იყო გასული, ამხანაგები მაინც უკლებლივ გამოცხადდენ. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სოფ. ბოდბისხეველმა ცვალებადელებმა, რომლებიც მწყობრად, წითელი დროშებითა და რევოლიუციონური სიმღერებით გამოცხადდენ.

წერტზე თავის შეყრის შემდეგ გაიხსნა საზეიმო სხდომა, რომელსაც უამრავი ადგილობრივი გლეხები და პიონერები დაესწრენ. სხდომას აუარება ცვალებადელები მიესალმნენ სხვა და სხვა სოფლებიდან. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო წ. არმიელ ალავერდაშვილის გამოსვლამ, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდენ ცვალებადელები და წვევამდელები.

საღამოზე ნაჩვენები იქნა კინო სურათი; დაესწრენ ცვალებადელების უმრავლესობა, რის შემდეგ სიმღერით და დაწყობილი გაეშურენ თავიანთ სოფლებისაკენ.

სამხკორი მეფარიშვილი.

## საჭიროა ქართულ ენაზე დაწერილი წესები.

**ქ. ტფილისის კომენდანტის საყურადღებოთ.**

ქალაქის კომენდანტურის საგუშაგოებზე სისტემატიურად გვიხდება სიარული 1-ლი ლეგიონის წითელ არმიელებს. ყველა ვალდებულებანი, რომლებიც კი ევალება გუშაგს სისრულეში მოიყვანოს ჩამოწერილია და გაკრული საკომენდანტოში, მაგრამ სამწუხაროდ ყველა რუსულ ენაზე, რომლისაც ჩვენ არაფერი გვესმის. ამის გამო გადაბარების და ჩაბარების დროს დიდ დაბრკოლებებს აქვს ადგილი. რამოდენიმეჯერ ავღნიშნეთ ამის შესახებ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ ყურადღებას მაინც არავინ აქცევს.

დროა კომენდანტი ეხლა მაინც მიიღებდეს ზომებს და გაგვიადვილებდეს ჩვენი ვალდებულებების შესრულებას.

წ. არმ. მთაგორელი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## დაუკავშირდით სამოქალაქო ორგანიზაციას.

### 1-ლი საარტილერიო ლეგიონი.

2 მარტს შესდგა 1-ლ საარტილერიო ლეგიონის II ბატარეის ახკომკავშირის ჯგუფის დახურული კრება. კრებას დაესწრო ფინანსთა სახალხო კომისარიატიდან ამ. ლ. კ. კავშირის წარმომადგენლები. გაკეთებული იქნა მოხსენება სამოქალაქო ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა უჯრედს მთავარი ყურადღება მიუქცევია უპარტიოთა შორის მუშაობისათვის საკლუბო მუშაობაში ჩაბმამას თვით—მოქმედებით ორგანიზაციებში ფართო მონაწილეობის მიღებისათვის და სხვა. პარტიის ხელმძღვანელობა ჯგუფზე კარგი ყოფილა.

შემდეგი მოხსენება გააკეთა ამხ. მამალაძემ ლეგიონის სკოლის მუშაობის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს სკოლაში სისტემატიურ და ნორმალურ დასწრებას, შეთვისებას—საშვალოს, სკოლაში ხდება განვლილ თემის მთავარი აზრის ჩაწერა.

ამხ. აღნიშნავს კომკავშირელის ძლიერ ჩამორჩენას და აგრეთვე იმ თემების შეკითხვის გაძნელებას, რომელიც ტარდება მათთან. ამისთვის სკოლის ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ კომკავშირის წევრებზე ორგანიზატორის მიერ გაძლიერებული იქნას ინდივიდუალური აქტიური წევრების მიმაგრება და სხვა.

მოხსენებებში დამსწრეებმა მიიღეს მხურვალე მონაწილეობა.

სამხკორი ტ. ხველი.

## წვევამდელთა ერთი ნაბიჯი.

(გურია. ბახვის თემი).

თებერვლის რიცხვებში წვევამდელთა თაოსნობით, აღნიშნულ თემში მოწვეული იქნა ცვალებად შემადგენლობისა და წვევამდელთა გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრო ადგილობრივად მდგომი № ათასეულის პოლიტხელი, რომელმაც ვრცელი მოხსენება გაგვიკეთა წითელი ჯარის მნიშვნელობასა და მის საბოლოო მიზნებზე. ამხანაგმა ვრცლად გაგვაცნო აგრეთვე წითელ არმიასა და იმპერიალისტურ ჯარებს შორის განსხვავება. დასასრულ ამხანაგი იმასაც შეეხო თუ რა ევალება შვებულებაში წასულ წითელ არმიელს და წვევამდელებს სოფლად და თან გადმოგვცა მუშაობის გეგმაც. მოგვიწოდა მოვაწყოთ სამხედრო კუთხე და თავის მხრივაც შეგვპირდა დახმარებას.

კრებამ იმედი გამოთქვა, რომ ეს პირველი სანიმუშო შეკრება მომავალში უფრო სისტემატიურ ხასიათს მიიღებს და ამნაირად დავიწყებას არ მივცემთ ორი კვირის განმავლობაში შეძენილ სამხედრო პოლიტიკურ ცოდნას. ამხანაგები დაიშალნენ იმ რწმენით, რომ ამას სტკიცედ გაატარებენ ცხოვრებაში.

სამხკორი წ. არმ. მ. ნიკოლაიშვილი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

მე 3 ლეგიონში ეს ერთი ხანია ცუდი პური ცხვება. ხშირად პური სრულიად ცომია, რამაც მუცლის ტკივილი აუტეხა არმიელებს. კარგი იქნება სადილების გაუმჯობესებისთვისაც იზრუნებდენ.

წით. არმიელი ექვთიმეშვილი.

თბილისის სამხედრო საავადმყოფოს წითელ არმიელის სასადილოში არ არის არც გადადუღებული და არც უდუღარი წყალი, რის გამო წითელ არმიელები ხშირად ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან. რად გასჭირდა ასე ერთი წყლის ჭურჭელი აქაც დასდგან და ჩვენც მოგვცენ გადადუღებული წყალი. ექიმებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას.

სამხკორი ბაცილა.

მე-2 არტლეგიონის მე-2 ასეულის წითელარმიელებს არა გვაქვს საშვალება, რომ პირი დავიბანოთ დილაობით. ასეულში არ არის პირსაბანები და ამას გარდა არც წყალსადენის მილია ახლოს, რომ იმით ვისარგებლოთ. დროა მოგვაქციონ ყურადღება და მოგვცენ პირსაბანები.

სამხკორი ბერუტავა.

მე-2 არტლეგიონის უმწყობრო გუნდში გვყავს წითელარმიელი ხელოსნები—მეჩექმეები, რომლებიც მუშაობენ ნაწილისთვის, მაგრამ ერთი განკერძოებული ბინა არა აქვთ მიჩენილი. ისინი მუშაობენ საერთო ყაზარმაში, რაც იწვევს უსუფთაობას და შემდეგ ხმაურს. საღამოობით ველარ გვიმეცადინია ლენკუთხეში. ნუთუ არ შეუძლიათ ჩვენს მეთაურებს გამონახონ მათთვის ერთი გაცალკევებული ადგილი?

სამხკორი არუთინოვი.

## ვინ მოუვლის წკიპურტის ქვეშ?

### სიბინძურეს მოსპობს სისუფთავე

1-ლი ლეგიონის 3-ე ასეულს გამოყოფილი ყავს სამზარეულოში 2-რი წითელ არმიელი, რომლებსაც სხვასთან ერთად ევალებათ ასეულისათვის ჩაის მოწოდება დილა საღამოს. ყოველდღიურად ეძლევათ ამისთვის გირვანქა ჩაი. წითელ არმიელები როგორც სჩანს ჩაის უნდა სწაპნიდენ, რადგან საღამოობით მაინც ჩაის წყალს ჩვეულებრივი წყლის ფერი აქვს.

სამხკორი სკვინჩა.

### თავის ტოლი არავინ ჰგონია.

მეხუთე ლეგიონის საკომენდანტო ოცეულის წითელ არმიელი ხშირად ბაქიაობს და გვერდულად უყურებს თავის ამხანაგებს. „თქვენ ვინახართ, რანი ხართ“. თქვენისთანების რა მცოდნიაო“. ხშირად ბრძანებითაც კი მიმართავს თავის ამხანაგ წითელ არმიელებს.

საინტერესოა იცის თუ არა ამხანაგმა, რის ღირებულებას შეადარეს თავის ქება?

კორესპონდენტი ლ. ნჩავა.

### ახალი წესის შემომღები.

23 თებერვალს 3-ე ლეგიონი ემზადებოდა დღესასწაულების ჩასატარებლად, რისთვისაც არჩეული იქნა სათანადო კომისია. კომისია ურიგებდა ყველა ასეულებს პლაკატებს და სხვას, რისთვისაც მივიდა სამნეო გუნდის წარმომადგენელიც, მაგრამ მას დაცინვით უპასუხეს: „სამნეო გუნდს რათ უნდა პლაკატებიო“.

ლეგიონის ასეულების ერთმანეთისაგან გარჩევა ჯერ არავის მოუფიქრებია ჩვენთან გარდა ამ ამხანაგებისა: „არა მკითხე მიამბეო...

წ. არმ. პერტია.

### თავს მხიარულად გრძნობენ.

1-ლი არტლეგიონის სკოლის სასადილოში ზოგიერთი ამხანაგები მხიარულებაში საზღვარს სცილდებიან. მხიარულებაზე რა ეთქმით ამხანაგებს, მაგრამ შეიბრალონ სასადილოს ჭურჭელი.

ძვლების სროლაში ვარჯიშობა კი ალბად კარგ მსროლელებს გამოიყვანს მათგან.

სკოლის კურსანტი.

---

**წვევამდელებო! მეცადინეობა უკვე დასრულდა. გააშუქეთ ჩვენს გაზეთში თუ როგორ დამთავრდა თქვენს წერტზე წვევამდე მზადება და როგორია მისი შედეგები.**

---

## ამბები სოფლებიდან

ტელეფონი სოფლად. სოფ. ტრაუნბერგში (ბორჩ. მაზრა) მოსახლე გლეხებს (გერმანელები არიან) თავის ხარჯით გაყავთ ტელეფონი.

ქუთაისის აღმასკომმა გადასცა ადგილობრივ მოხმარებელ საზოგადოებას ორი მოწყობილი ფურნე.

დუშეთის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა სოფ. მჭადიჯვრის 4 წლიან შრომის სკოლას ეწოდოს „1905 წლის რევოლ. სახელობის სკოლა“.

ტყის დაცვა. ქუთაისის მაზრის აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება მაზრის ტყეების დაცვის შესახებ.

ბორჩალოს აღმასკომმა დაადგინა დახმარება აღმოუჩინოს დედათა და ბავშთა დაცვის საზოგადოებას მაზრაში „ბავშვის დაცვის კვირეულის“ ჩატარებაში.

კლუბი სოფლად. სოფ. ხონჭიორის (რაჭაში) გლეხებმა დაადგინეს ადგილობრივ მოაწყონ სასოფლო კლუბი.

## ახალი ამბები.

— შამქორის ქარხანა. საკავკასიო მრეწველობის ტრესტი შეუდგა შამქორის (ზუგდიდის და სვანეთის საზღვარზე) ხე-ტყის სახერხ ქარხნის გაფართოებას.

— ახალი ბაღი. ტფილისის აღმასკომის კეთილ-მოწყობის განყოფილება ლენინის რაიონში აშენებს ახალ ბაღს.

— სკოლები მაზრაში. ტფ. მაზრაში ამ ჟამად არსებობს 176 სკოლა, სადაც სწავლობს 17.233 მოწაფე.

— ავადმყოფების გაგზავნა. ტფილისის შრომის სალაროს გადაწყვეტილებით ქობულეთში და სოხუმში გაგზავნა დაზღვეულ ავადმყოფთა მესამე ჯგუფი რიცხვით 70 კაცი.

— პენსიონერები. დამზღვ. სალარომ დაადგინა შემოწმოს პენსიონერთა სიები, იმ ადგილებში, სადაც არ არსებობს საექსპერტო ბიუროები.

## პასუხი შეკითხვებზე.

გ. რურუას. ზედმეტი მსახური უმც. მეთაური თუ ორი წლის სამსახურის შემდეგ კიდევ დარჩება სამსახურში, მაშინ მას მიეცემა დახმარება ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობისა 4 წლის სამსახურისთვის—ორი თვის და 6 წლის სამსახ.—3 თვის. (რევსამხსაბჭოს ბრძანება №№ 1244, 1288—24 წ.).

სამსონ ლ—ს. თქვენს ძმას ცვალებად შემადგენლობაში გაიყვანენ.

ცხომელიძეს. ასეულიდან ასეულში გადაყვანის შესახებ მიმართეთ თქვენს უფროსს.

მასვე. ასეულის მამასახლისს შეუძლია ათ. მეთაურს სასჯელად მისცეს რიგს გარეშე ერთი განწესება.

ა. ც—ე. წ. ა. არ შეუძლია სამოქალაქო ტანისამოსის ტარება.

მასვე. ჯამაგირი უნდა მიიღოთ თანახმად შტატისა.

ექაშვილს. მუშფაკში შესვლა შეგიძლიათ განათლების განყოფილების, ადგილობრივ საბჭოთა, პარტიული და პროფ. ორგანიზაციების საშუალებით.

ბუნდეურს. მიწის შესახებ მიმართედ თემის მიწის კომისიას. თუ ფონდის მიწა თავისუფალი იქნა მოგეცემათ, როგორც უმიწაწყლოს.

ოქროპირიძეს. თქვენ უნდა იმსახუროთ 1903 წ. დაბადებულებთან ერთად ორი წელი.

კირტავას. გეკუთვნით სამი ცხვირსახოცი.

გოშაძეს. თქვენ დაბადებული ხართ 1902 წ., მაგრამ სამსახურში 1903 წ. დაბადებულებთან ერთად გაიწვიეთ, ამიტომ წახვალთ მათთან ერთად უვადო შვებულებაში.

სამსონიძეს. თქვენი შეკითხვა არ მიგვიღია.

ვახტანგოვს. თქვენი შეკითხვა გადაეცა იურიდიულ ბიუროს.

წ. არმიელს. საექიმო დახმარებით წ. ა. ოჯახი უფასოდ სარგებლობს.

ბალ—ძეს. მიწის გარშემო ატეხილი დავა შეგიძლიათ გაასაჩივროთ სამაზრო მიწის კომისიაში.

ან—ძეს. ფეხსაცმელის შესაკეთებლად მიმართედ სამნეო ნაწილს.

ანდროს ზაფხულობით მაზარას არ არიგებენ.

ბრეგაძეს. სამხედრო მსახურთ პროფკავშირის წევრობა არ შეუძლიათ.

კ—შვილს. ბინის ქირათ თითეულ კვ. არშინში უნდა იხადოთ ორი კაპიკი საერთო ჯამიდან 25 პროც. გამოკლებით, როგორც სამხედრო მსახური.

მენაბდიშვილს. ბინის ქირათ უნდა იხადოთ თითეულ კვ. არშინში რვა კაპიკი საერთო ჯამიდან 25% გამოკლებით, როგორც სახ. მსახური.

---

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“**

---

## ჩვენი ფოსტა.

ამხ. ნ. ნუაკუთხელს (3-მე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია უსამართლობის შესახებ, გადაეგზავნა ლეგიონის თავს და კომისარს შესაფერი ზომებისათვის.

ამხ. ბურდილაძეს თქვენი მოგონება ძლიერ დაგვიანებით მივიღეთ. არ დაიბეჭდება. გადიდვა ქართული დივიზიის დღის თვის.

ამხ. ი. ბ. (6-სე ლეგ.) წერილი პარტიული ცხოვრების შესახებ დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

ამხ. დამსწრეს (2-რე ლეგ.) თქვენი წერილი გადაეგზავნა ლეგიონის სამხედრო კომისარს ზომების მისაღებათ.

ამხ. ვ. ნოზაძეს (5-თე ლეგ.) წერილი დღესასწაულების შესახებ დაგვიანებულია.

ამხ. დ. ნაკაშვილს კორესპონდენცია ენისელის წერტის შესახებ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთში.

ამხ. ბიკს დღესასწაულისათვის გამოგზავნილი წერილი დაგვიანებით მივიღეთ. არ დაიბეჭდება.

ამხ. ა. ფოფხაძეს თქვენი წერილი ახკომკავშირის მუშაობის შესახებ გადაეგზავნა გაზ. „კომუნისტის“ რედაქციას.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის მე-2-რე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტკანდიდატათ მიღების შესახებ ამხ. შალვა მიდელაშვილს (უპარტიო ათეულის მეთაური ქალ. გორის მცხ.) თუ ვინმეს, რაიმე საწინააღმდეგო აქვს ზემოაღნიშნულ ამხანაგის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ მე-2-რე ასეულის კომუჯრედში ერთი კვირის განმავლობაში.

მეორე ასეულის კომუჯრედის პ/მ. მდივანი სილოგაძე.

ნ. დ. ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.

დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი